

ინფორმაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის შესახებ

მუნიციპალიტეტში ამ დრომდე არ არსებობდა ბიბლიოთეკა, გამომდინარე აქედან, მოქალაქეების სურვილის გათვალისწინებით და გამგებლის ინიციატივით, 2014 წელს ოქტომბერში, ქალაქ მარნეულის ცენტრალურ ქუჩაზე რუსთაველის #73^ა-ში **2014 წლის 30 ოქტომბერს დაიწყო** თანამედროვე სტანდარტების მქონე ბიბლიოთეკის მშენებლობა.

შენობა ორსართულიანია, გადაწყვეტილია რკინა-ბეტონის მონოლითურ კარკასში და არის მართკუთხა ტრაპეციული ფორმის.

➤ *შენობას აქვს გადაშლილი წიგნის ფორმა*

მოდერნის სტილის ფასადზე გამოხატულია წიგნის ფორმა. მოპირკეთდა ხის პანელებით მინის ვიტრაჟებით და ბეტონის კონსტრუქციის დეკორაციული ლესვით.

ბიბლიოთეკის არსებობის მიზანია, მოემსახუროს ცოდნაზე, განათლებაზე ორიენტირებულ წიგნიერი, განათლებული და ლოგიკურად მოაზროვნე ახალგაზრდის ჩამოყალიბების საქმეს.

უნდა აღინიშნოს, რომ მარნეულში მცხოვრებთ მსგავსი სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა არასდროს ჰქონიათ. მომხმარებლებს, ამ სივრცეში ეძლევათ შესაძლებლობა ლიტერატურის მოძიებისთვის გამოიყენონ როგორც ფიზიკურად არსებული წიგნის ფონდი, ისე ელექტრონული რესურსი და ინტერნეტით მოპოვებული საჭირო ინფორმაცია.

გარდა ამისა, ეს იქნება ადგილი, სადაც მოქალაქეებს მიეცემათ შესაძლებლობა– თავშეყრის, ერთმანეთთან აზრების გაზიარების, ლიტერატურული სადამოების მოწყობის, კონფერენციების, ტრენინგებისა და საქმიანი შეხვედრების.

ბიბლიოთეკის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს მარნეულში სხვადასხვა ეთნოსების ინტეგრაციის ხელშეწყობას, კულტურული ურთიერთიერთობების გაღრმავებას და ტოლერანტული დამოკიდებულების განმტკიცებას.

შენობაში განთავსებული იქნება საბიბლიოთეკო, სამუზეუმო, კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის მიმართულების სივრცეები.

შენობა შედგება ორი ფლიგელისგან.

სივრცული მოწყობისათვის ბიბლიოთეკის შენობაში მოეწყობა ანტრესოლი, რის შედეგადაც ბიბლიოთეკის დარბაზში გამოიყოფა რამოდენიმე ფუნქციური ზონა, სწორედ ამიტომ ბიბლიოთეკა არის მრავალფუნქციური და მოქნილი.

შენობაში გამოიყო სამი ძირითადი სივრცე:

1. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი

2. საკონფერენციო დარბაზი

3. ადმინისტრაციული ნაწილი

I სართულზე განთავსებულია:

- კორიდიორი, შემნახველი კარადებით და საპირფარეშოები მათ შორის ერთი გათვალისწინებულია შშმ პირებისთვის;
- წიგნის ფორმის საგამოფენო დაფა;
- საკონფერენციო დარბაზი და განკუთვნილია 25 კაცისათვის. დარბაზი უნივერსალური ტიპისაა, სადაც სამუზეუმო ექსპონატებისთვის განკუთვნილი მცირე ზომის 6 აკვარიუმი. შესაძლებელია მოეწყოს მცირე შეხვედრა. მაგიდების კონფიგურაციიდან გამომდინარე საშუალება არის რამოდენიმე ფორმით განლაგება.
- საბიბლიოთეკო სივრცე ანტრესოლით
- სოფლის მეურნეობის კუთხე
- გაცემის პუნქტი
- სამკითხველო მაგიდები 10 კაცზე
- ელ.ბიბლიოთეკა 5 კომპიუტერით მათ შორის ერთი ადაპტირებული შშმ პირებზე

II სართულზე განთავსებულია:

- სამი საშუშე მაგიდა (თითო მაგიდა თითო ადამიანზე)
- ბაშვთა ოთახი
- ორი მაგიდა 8 ადამინისთვის (სადისკუსიო)
- ღია ტიპის წიგნის თაროები სულ 6 ცალი
- დეკორაციული თარო წიგნებისთვის
- წიგნადი ფონდის საცავი.
- უფროსი ბიბლიოთეკარის სამუშაო მაგიდა.

II ფლიგელში განთავსებულია

- შენობა, რომელსაც ფასადზე წიგნის ფორმა აქვს, მის ინტერიერში მოწყობილია ადმინისტრაციული და საოფისე ოთახები *საბიბლიოთეკო, სამუზეუმო, კულტურული მემკვიდრეობის და ტურიზმის მიმართულების*.
- წიგნებით მომარაგების საქმეში თვითმმართველობას პარტნიორობა – საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობა განხორციელდა ბინების დაცვით და ჰაერს დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მოქმედი ნორმატიული აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

- შეესაბამება Eu და iso ნორმებს და სტანდარტებს. შენობის დაგეგმარებით
- გათვალისწინებულია და აკმაყოფილებს საევაკუაციო და სახანძრო ნორმებს.
- ადამპტირებულია ინკულზიურ პირთათვის, მოწყობილია მათთვის პანდუსი და ინკლუზიური საპირფარეშოები.
- შენობაში გამოყენებადი ყველა მასალა, საინჟინრო ნაწილი გათბობა- კონდიციონერება, ელექტრობა ეკო ტიპისაა.
- ხდება ყველა ოთახის განიავება და ინსოლირება.
- მშენებლობა განხორციელდა და ჰაერს დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მოქმედი ნორმატიული აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

ახლადამშენებულ ბიბლიოთეკა აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით – ავეჯითა და სუვენირებით.

ბიბლიოთეკის წინ მოეწყო სკვერიც და აშენდა ერთ სართულიანი კაფე. კონკრეტულად გარე ინტერიერის მოსწყობად ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

- სკვერის მშენებლობისას გათვალისწინებულია მიწისქვეშა სარწყავი სისტემა;
- გამოიყო სკამების განთავსებისათვის ადგილები;
- მკითხველისათვის შეიქმნება მაქსიმალურად იზოლირებული და მყუდრო გარემო;
- დამონტაჟდა გარე განათება;
- მოეწყო ახალი ავტოსადგომი;

- დაიდგა სანაგვე ურნები;
- მოეწყო ახალი საზოგადოებრივი საპირფარეშო;
- სკვერის ტერიტორიაზე აშენდა მცირე ზომის ერთ სართულიანი კაფე ტერასით რომელიც გათვლილია მხოლოდ მზა პროდუქციისა და უალკოჰოლო სასმელის რეალიზაციისათვის;
- პროექტის ფარგლებში გამწვანდა აღნიშნული ტერიტორია ბალახითა და ბუჩქოვანი ხე-მცენარეებით;

ბიბლიოთეკის მშენებლობისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 333 000 ლარი.

ბიბლიოთეკის ინვენტარისა და საჭირო დეკორაციებით აღჭურვისთვის ადგილობრივის და სკვერის მოწყობისთვის ადგილობრივ ბიუჯეტიდან საერთო ჯამში 336 048 ლარი დაიხარჯა.

საერთო ჯამში 669048